№ 06Z4-0969128 D 04.07.2024

შპს „კნაუფ გიპს თბილისის“
წარმომადგენელს ბატონ მათე ხეჩიკაშვილს
ელ.ფოსტა: Mate.Khechikashvili@knauf.com;
nasi.chikhladze@knauf.com
ტელეფონი: 577 40 08 31; 577 40 08 35

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის IN24-0965318; თარიღი: 24/06/2024 წ.) ქიზიყის ქუჩა N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკ.კოდით: 01.19.22.003.042 წყალსადენ-წყალარინების ქსელებზე ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.19.22.003.042) კომპანიის ბალანსზე რიცხული ქსელები არ გაედინება, მიმდებარედ გაედინება წყალსადენის D=900 მმ; D=160 მმ და D=90 მმ-იანი ქსელები და წყალარინების D=300 მმ-იანი და D=200 მმ-იანი ქსელები. ასევე L=400 მ. რადიუსში გაედინება წყალარინების D=500 მმ-იანი ქსელი (იხილეთ სიტუაციური ნახაზი).

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) თანახმად წყალსადენ-კანალიზაციის მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო

საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაამისად მოცემულ არეალში წყალარინების ქსელიდან 3 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

აღნიშნული წყალსადენ- წყალარინების ქსელების გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას" აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით კომპანია გამორიცხავს მიწისადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენს განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთებზე შესაძლოა გაედინებოდეს სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

რაც შეეხება მშენებლობის ნებართვას, საჭიროა კომპანიაში წარმოადგინოთ მშენებლობის გენ. გეგმა შესათანხმებლად, სადაც განსაზღვრული იქნება დაშორება (მანძილი) აღნიშნული ქსელებიდან მშენებარე ობიექტამდე.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი
წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

მ.ლოლაძე
ტელეფონი: 293 11 11 (51 13)

N24-0965318

სიტუაციური ნახაზი



მაშტაბი : 1:6,700

0 45 90 180 270 360 მეტრი

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

მიწისქვეშა კომუნიკაციები

გვირაბი

წყალმომარაგების მილი

წყალმომარაგების ჭა

რეზერვუარი

სატუმბო სადგური

წყალარინების მილი

წყალარინების ჭა

სატუმბო სადგური

შპს ,,კნაუფ გიპს თბილის“-ის
(ს/კ 205181532)
დირექტორს ქალბ. მარინა დაციუკს

შპს ,,ახალი ჯგუფის“
(ს/კ 405158877)
დირექტორის გიორგი გოშხოთელიანის

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

გავეცანით, თქვენს მიერ 2024 წლის 27 ივნისს გამოგზავნილ წერილს და წერილზე თანდართულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის № 7077403 გადაწყვეტილებას.

გიდასტურებთ, რომ ხაზობრივი ნაგებობა ს/კ 01.04.792 არის შპს ,,ახალი ჯგუფი“-ს საკუთრება და ჩვენ როგორც ამ ნაგებობის მესაკუთრე გავცემთ წინამდებარე თანხმობას თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოებთან დაკავშირებით.

ამასთანავე, გთხოვთ, ზემოთ მითითებული სამუშაოების ჩატარებისას უზრუნველყოთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების სრული დაცვა. ხოლო ჩვენი საკუთრების განადგურების ან/და დაზიანების შემთხვევაში აიღოთ სრული პასუხისმგებლობა აღნიშნულზე.

პატივისცემით,

შპს ახალი ჯგუფის დირექტორი

_____ _____

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

N: 0702/767/24

02/07/2024

მოქ. მათე ხეჩიკაშვილს

27.06.2024 #0627/064/24 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე (ს.კ.01.19.22.003.042) ფიქსირდება სს „თელასის" კუთვნილი 6კვ-ის საკაბელო ქსელი (8503 - ა1533), მიმდებარედ დგას ს/ქ (2352; ა1533).

ნაკვეთზე გამავალი მიწისქვეშა საკაბელო ქსელის ოპერატიული და შეუფერხებელი მომსახურებისათვის უნდა მოხდეს ნაკვეთზე კაბელის გასწვრივ (ორივე მხარეს) 1მ. სიგანის მონაკვეთის დატვირთვა სერვიტუტით, ან გადატანა თქვენი ხარჯით საკადასტრო საზღვრის გარეთ ნორმების დაცვით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილების თანახმად ქვესადგურებისა და გამანაწილებელი პუნქტებისათვის მიმდებარედ შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

- ყრუ კედლიდან და შემოღობვებიდან პერიმეტრის გასწვრივ - 2მ (მუხლი 3, პუნქტი გ.ა).

- ღიობიანი კედლის შემთხვევაში პერიმეტრის გასწვრივ - 4მ (მუხლი 3, პუნქტი გ.ბ).

-მთავარი მისასვლელი გზის მონაკვეთი - სიგანით არანაკლებ 3 მეტრისა (მუხლი 3, პუნქტი გ.გ).

სს „თელასის" გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

№ 3889/24-8 "03" 07 2024

შპს „კნაუფ გიპს თბილისი“-ს წარმომადგენელს
ბატონ მათე ხეჩიკაშვილს
ტელ: 577400831

ბატონო მათე,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-6181 27/06/2024წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. #17-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.19.22.003.042 სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას დადგინდება სს „სილქნეტის“ კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაციის არსებობა, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ირაკლი აბაშიძე



ს/ს "სილქნეტი"
ზემოანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას
ს/ს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40
ტექნიკური განყოფილება
თარიღი 1.02.24წ.

ფორმატი A-3	თებერვალი 2024 წ.		

ᲫᲘᲚᲘᲡᲘᲙᲐᲪᲘᲐ:

#1. მიმდებ გამშვები ნაგებობა (საპროექტო)
#2. საწყობი (საპროექტო)
#3 ავტოსადგომი (საპროექტო)
#4 საფეხმავლო ბილიკი (საპროექტო)
#5. საწყობი (საპროექტო)
#6. საწყობი (საპროექტო)
#7. საწყობი (საპროექტო)

ᲐᲘᲠᲝᲜᲘᲛᲘᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ:

საკადასტრო ზღუდის ხაზი
არსებული შეღობილობის ხაზი
არსებული წყლის ხაზი
არსებული ბუჩქები

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ:

ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ:

შ.პ.ს "ᲜᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲝᲒᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ" ს.ნ. 205181532

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:

ქ.თბილისი, ქუჩა ქიზიყი, №17, ქ.თბილისი, ქუჩა ენუქიძის №7
საკადასტრო კოდი 01.19.22.003.042

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ:

გენგეგმა პროექტი

ᲛᲝᲓᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ	ᲐᲕᲢᲝᲠᲘ	ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ	ᲗᲐᲠᲘᲦᲘ
არქიტექტ.	დ. ტყემალაძე		26.06.24.

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ		არსებული ნარჩენები ტერიტორიაზე	
ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲚᲘ			
ᲡᲐᲓᲐᲖᲘᲐ		ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ	ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ
ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲘ			